

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N13

ქ. ლანჩხუთი

2 ნოემბერი. 2012 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, რევაზ ჩიტბე.

**სხდომას ეწვებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიძიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მაია კეკელიძე.

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კახაბერ ასკურავა, გამგებლის მოადგილე, ნუგზარ ლლონტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი, ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი, თამარ ასკურავა,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგეობის განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირმა მეგლაძე, გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მაია აფხაზავა და მედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე დამატებით შემოვიდა საკითხი, რომელიც ეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილებების შესატანად ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას. მან მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთაღნიშნული საკითხის დამატება მ/წ 2 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში. წინადადებას მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი, დამატებული საკითხის გათვალისწინებით:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი მ. აფხაზავა/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/*

6. სხვადასხვა.

დეპუტატმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის პროექტში საკითხად აუცილებლად უნდა ყოფილიყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგების განხილვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტრიძემ განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგების მიმოხილვა ახლავს ბიუჯეტში ცვლილების წარმოდგენილ პროექტს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის 2012 წლის 9 თვის შედეგების განხილვა კი, იგეგმება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტრიძემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 (ორი) – დავით წულაძე, ლევან ჩხაიძე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2–მა (ორი) დეპუტატმა – მაკა კვიციანი, მარინე თურნავა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 ივლისის №1453 განკარგულებით გამოიყო 300 000 ლარი ქ. ლანჩუთში საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისათვის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოეყო 16 000 ლარი წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების მიზნით, რაც უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში, მ.შ. 8 000 ლარი საკრებულოს და 8 000 ლარი გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისათვის. ასევე მიმდინარე წლის 9 თვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბიუჯეტში მობილიზებულია საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 1 093 609 ლარი ანუ 9 თვის გეგმის შესრულება შეადგენს 103.5%-ს, ხოლო წლიურთან მიმართებაში გეგმის შესრულება 63%-ია. წლის დარჩენილ პერიოდში გეგმის შესრულების პირობებში მობილიზებული უნდა იქნეს 642 031 ლარი, რაც გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, იმის გათვალისწინებით რომ მიმდინარე წელში არ განხორციელდება 400 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის რეალიზაცია და 5 ჰექტარი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის რეალიზაცია რომლის ფასი (აუდიტის შეფასებით) შეადგენს 580 800 ლარს. ანალიზით ირკვევა რომ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში ვერ მიღებს სავარაუდოდ 156 125 ლარს რის შესაბამისად უნდა განხორციელდეს 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება მუხლებს შორის შიდა გადასახადების გათვალისწინებით.

კერძოდ:

– მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეუმცირდეს შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ფონდი 2 720 ლარით, ოფისის ხარჯი 9 200 ლარით, არაფინანსური აქტივების ხარჯი 600 ლარით.

– გაეზარდოს შრომის ანაზღაურების ფონდი 2 930 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი 32 700 ლარით (სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯების ასანაზღაურებლად), სოც. უზრუნველყოფის ხარჯი 1 200 ლარით.

– მუნიციპალიტეტის გამგეობას შეუმცირდეს შრომის ანაზღაურების ფონდი 24 920 ლარით, მივლინების ხარჯი 4 500 ლარით, ოფისის ხარჯი 18 000 ლარით, რბილი ინვენტარის ხარჯი 840 ლარით, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი 10 000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი 13 700 ლარით, არაფინანსური აქტივების ხარჯი 1 000 ლარით, სოც. უზრუნველყოფის ხარჯი 2 500 ლარით, სხვა ხარჯების მუხლი 1 450 ლარით.

- გაიზარდოს სარეზერვო ფონდი 5 000 ლარით.

– სახანძრო-სამაშველო სამსახურს შეუმცირდეს ხელფასის ფონდი – 21 990 ლარით, ოფისის ხარჯი 10 000 ლარით, სხვა ხარჯები – 6 500 ლარით.

– სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს შეუმცირდეს შრომის ანაზღაურების ფონდი 6 340 ლარით, ოფისის ხარჯი 1 240 ლარით, მობილიზაციის ტრანსპორტის ხარჯის 3 000 ლარის შემცირებისა და 2600 ლარის ზრდის ხარჯზე ტრანსპორტის ხარჯები გაეზარდოს 5 600 ლარით.

– შემცირდეს მუნიციპალიტეტის მიერ მოხმარებული წყლის ხარჯი 2 000 ლარით.

– მუნიციპალიტეტის ამხანაგობებისა და საინვესტიციო პროგრამების თანადაფინანსება შემცირდეს 6 600 ლარით.

– შემცირდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ-ების სუფსიდირება 51687 ლარით. კერძოდ შემცირდეს:

ა(ა)იპ აგრო ბიზნეს ცენტრი ლანჩხუთის 826 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთ კეთილმოწყობას 2 488 ლარი, ა(ა)იპ სპორტული ცენტრს 9 764 ლარი, ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო სკოლას 3 921 ლარი, ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას 9 352 ლარი, ა(ა)იპ კულტურის ცენტრს 9 646 ლარი, ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრს 5 426 ლარი, ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრს 2 946 ლარი, ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრს 1 686 ლარი, ა(ა)იპ მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს 1 882 ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთი-სერვისის 3 750 ლარი.

– გაიზარდოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის დაფინანსება 532 ლარით (ბიუჯეტინის ხარჯი).

– შემცირდეს 5 300 ლარით საჯარო სკოლების დაფინანსების ხარჯი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოეყო 940 000 ლარი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებისათვის. პროექტებით გათვალისწინებულ ღონისძიებების დაფინანსებაში მიღებული ეკონომია 8 168 ლარის ოდენობით მიიმართოს შიდა გზების ახალი პროექტის დაფინანსებაზე.

„საქართველოს რეგიონებში ზოგიერთი ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №972 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოეყოფილ 800 000 ლარიდან განხორციელებულ პროექტების დაფინანსებაში მიღებული იქნა ეკონომია, ქ. ლანჩხუთის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებში 1 948 ლარი, რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის შიდა გზების სარემონტო სამუშაოებზე.

2012 წლის 26 ივლისის №26/07/03 საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოეყოფილი 300 000 ლარიდან შემცირდეს გზის რეაბილიტაციაზე მიმართული თანხა 1 500 ლარით და მიიმართოს აკეთის ტერიტორიულ ორგანოში კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოების განხორციელებისათვის.

ამათან შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემცირდეს „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 768 ლარით, „ხანდაზმულთა (100 წლის ზემოთ) ერთჯერადი დახმარების პროგრამა – 1 200 ლარი, რეფერალური დახმარების ცენტრისა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა 2 330 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა – 2 780 ლარით და ამ შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შეჭირვებულ ოჯახთა 3–18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა 200 ლარით, 18–60 წლამდე ასაკის

მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა 2 500 ლარით, მშობიარობის თანადაფინანსების პროგრამა – 1 000 ლარით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 3 378 ლარით.

ხარჯების მონაცვლეობა იწვევს შესაბამისად შემოსავლის ნაწილში ცვლილებას. კერძოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტრანსფერის 316 000 ლარით ზრდასთან ერთად გაიზარდოს საწარმოო ქონების გადასახადი 12 800 ლარით, მიწაზე ქონების გადასახადი 22 475 ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის 13 500 ლარით, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 1 200 ლარით, შემოსავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში გადაცემიდან 4 700 ლარით, შემოსავალი სესხის დეპოზიტის და სხვა სახის პროცენტებიდან (სარგებელი) 13 000 ლარით; შემცირდეს ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 5 300 ლარით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 29 500 ლარით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 6 000 ლარით, შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან 183 000 ლარით. რაც იწვევს საბოლოოდ ბიუჯეტის 159 875 ლარით ზრდას.

ამასთან წარმოდგენილ ცვლილებაში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად აისახა აღმასრულებელი ორგანოს სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ:

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის №26/07/03 განკარგულებით (სარეზერვო ფონდიდან) გამოყოფილ 300 000 ლარიდან შემცირდეს საწრეტი კოლექტორის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება 2 926 ლარით, წყალმომარაგების სისტემის მოწყობა 35 281 ლარით, სპორტული მოედნის მოწყობა – 4 996 ლარით და სკოლამდელი დაწესებულების ბაღის რეაბილიტაცია – 2 440 ლარით, სულ 45 643 ლარით. შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება 27 982 ლარით, გარე განათების მოწყობის სამუშაოები 11 855 ლარით, ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაო 5 806 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ივნისის №1206 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილ 100 000 ლარიდან ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება შემცირდეს 8 836 ლარით და მიიმართოს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილ 838 296 ლარიდან შემცირდეს წყლის პროექტების დაფინანსება 2 553 ლარით და მიიმართოს ჯიხეთის დედათა მონასტრის მზის ბატარეის შექმნაზე.

შემცირდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი – 5 000 ლარით, მივლინების ხარჯი - 4 800 ლარით, არაფინანსური აქტივების ხარჯი – 3 900 ლარით, გაიზარდოს საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი – 13 700 ლარით, სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯის დასაფინანსებლად.

დეპუტატმა დავით წულაძემ არასწორად მიიჩნია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ-ებისათვის სუბსიდირების შემცირება 51 687 ლარით, რაზეც საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს მისივე განმარტებით ბიუჯეტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, თუ რის ხარჯზე და რატომ ხდება ეს პროცედურა. ყველა ა.(ა).ი.პ. მიიღებს იმ სუბსიდიას, რაც საჭიროა მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მ/წ ბოლომდე.

საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა სხდომას გააცნო შ.პ.ს. „ლანჩხუთი სერვისის“ დირექტორის თხოვნა სუბსიდირების 1 000 (ათასი) ლარით გაზრდის თაობაზე, რაც აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების რეაბილიტაციისათვის, ასევე მან მოითხოვა რელიგიის მხარდაჭერისათვის დაფინანსების გაზრდა 500 (ხუთასი) ლარით მოახლოებულ დღესასწაულებთან დაკავშირებით. ზემოთაღნიშნული წინადადებების საფუძველზე მ/წ ბიუჯეტში უნდა განხორციელდეს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ცვლილებები სარეზერვო ფონდის შემცირების ხარჯზე, რაც მოითხოვს დადგენილების პროექტში სარეზერვო ფონდი ნაცვლად 5000 ათასი ლარისა, 3500 ლარით გაზრდას. აღნიშნული წინადადებები გაზიარებულ იქნა დეპუტატთა უმრავლესობის მიერ.

საკრებულოს წევრი, მაკა კვიციანი დაინტერესდა შეშის უზრუნველყოფის პროგრამით. მან აღნიშნა, რომ გაზაფხულზე იმ ხალხს, ვისაც დაწერილი ჰქონდა განცხადებები შეშასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ პირობა მისცა, რომ ისინი დაკმაყოფილდებოდნენ პირველ რიგში, რაც დღემდე შეუსრულებელია.



ასევე მან მოითხოვა განმარტება, თუ როგორ განხორციელდება პოლისის არმქონე იძულებით გადაადგილებულ პირებზე ახალშობილებისათვის თანხის ანაზღაურება.

დეპუტატ მაკა კვიციანიას მიერ შემის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ გააკეთა განმარტება, რომ საშემე მერქნით უზრუნველყოფის პროგრამაში გაწერილია თუ რა კატეგორიაზე უნდა მოხდეს დახმარების გაცემა. თუ საუბარია ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახების უზრუნველყოფაზე, ეს პროგრამა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში იყო დამტკიცებული. ყველა ასეთი ოჯახი, ერთჯერადი დახმარების სახით საშემე მერქნის შესაძენად არაუგვიანეს მ/წ 23 ნოემბრისა მიიღებს 200(ორასი) ლარს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ პირველ რიგში შემით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ქალაქის სოციალურად დაუცველი ადამიანები. განცხადებების სიმრავლის გამო შეუძლებელია ყველას თხოვნის გათვალისწინება.

საკრებულოს სხდომაზე სტუმრის სტატუსით მყოფი მაია ჩხაიძე (ვალოდია წულაძის სახელობის მუზეუმის განყოფილების უფროსი) დაინტერესდა სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიმდინარეობის თაობაზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მისი უახლოესი ნათესავი ცხოვრობს ძალიან მძიმე პირობებში, დაზიანებული აქვს საცხოვრებელი სახლი, იგი 5 წელიწადია ითხოვს დახმარებას, მაგრამ დღემდე უშედეგოდ.

მაია ჩხაიძის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, კახაბერ ასკურავამ განმარტა, რომ მ/წ 12 ოქტომბერს მომხდარი ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალდა მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყო თანხა სარეზერვო ფონდიდან დახმარების მიზნით. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს, ასეთი ტიპის სახლები ბევრია ჩვენს მუნიციპალიტეტში და მათი ერთდროული დახმარება ვერ განხორციელდება. კრიტერიუმების შესაბამისად განსაზღვრული იქნება დახმარების გაცემის რიგითობა.

დეპუტატმა დავით წულაძემ კვლავ მიმართა შეკითხვით გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, კახაბერ ასკურავას, თუ მას რატომ არ გამოაქვს სხდომაზე განსახილველად ბიუჯეტთან დაკავშირებული დადგენილების პროექტები. იგი თვლის, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 5 მილიონი ლარია და აქედან 2 მილიონზე მეტი იხარჯება ადმინისტრაციის შენახვაზე, მაშინ, როდესაც არ ხდება სოციალურად დაუცველი

მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საშემე მერქნით უზრუნველყოფა. ასევე მან აღნიშნა, რომ ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირება მიზანშეუწონელია, ვინაიდან არ არის შემცირებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა. ამდენად მისთვის სრულიად გაუგებარია საწვავის შემცირების ხარჯზე ავტომანქანების სიმრავლე. მათ შორის „ჯიპებისაც“.

დეპუტატ დავით წულაძის მიერ დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ განმარტა, რომ გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში გაზრდილია ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ხაზით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა, ამდენად წლის სხვა პერიოდში მიზანშეუწონელია საწვავის ხარჯის შემცირება, ხოლო რაც შეეხება „ჯიპების“ სიმრავლეს, 2(ორი) ჯიპიდან ერთ-ერთი გადმოეცა შ.ს.ს. მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, უსასყიდლოდ. ამასთან, ზემოთ აღნიშნული ავტომობილი არის მცირე ლიტრაჟიანი. მისივე განმარტებით სხდომაზე საკითხის მოხსენებელს, მათ შორის, ბიუჯეტთან დაკავშირებულსაც, ამტკიცებს საკრებულოს ბიურო და იგი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსსა და საკრებულოს რეგლამენტთან.

სხდომაზე სხვა დეპუტატების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს:

**მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1(ერთი) დავით წულაძე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, მ. თურნავა ,მ. კვიციანი).**

**მიღებულ იქნა დადგენილება N30 (2.11. 2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი** სხოდმას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ შესყიდვების გეგმის პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ:

1. სამსახურის მიერ გაკეთებული ფაქტიური ხარჯების ანალიზის შედეგად შემცირებული იქნა რამდენიმე შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება. სულ შემცირებული იქნა თექვსმეტი დასახელების დანაყოფის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. შემცირების საერთო რაოდენობა შეადგენს 79960 ლარს.

2. ინფრასტრუქტურის სამუშაოების ექსპერტიზისათვის გამოყოფილი თანხები, წარმოდგენილ შესყიდვების გეგმის პროექტში შემცირებული იქნა 20491 ლარით, 283 ლარით შემცირდა სახურავის შეკეთების სამუშაოები, 5532 ლარით შემცირდა საბავშვო ბაღების შეკეთების სამუშაოები, აღნიშნულმა ეკონომიამ შეადგინა 24306 ლარი, რომელიც მიმართული იქნა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. წარმოდგენილ გეგმის პროექტში ასახული იქნა აგრეთვე ის გამარტივებული შესყიდვები, რომლებიც განხორციელდა მთავრობის განკარგულებების შესაბამისად.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატ დავით წულაძის მიერ გამოითქვა იგივე შენიშვნები, რაც დაფიქსირდა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს სხვა წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 19 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 4- მა (ოთხი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. კვიციანი, მ. თურნავა).**

**მიღებულ იქნა განკარგულება N94 (2.11. 2012 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი** სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებაში. კერძოდ:

1. დადგენილების პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის

არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის N287 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50მ. რადიუსში (თითოეულ მხარეს) – 0,228 ლარი.

2. დადგენილების პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სხვა უძრავ ნივთებზე – (გარდა მიწისა) სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 სექტემბრის N898 ბრძანებულებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული ღირებულების არანაკლებ 5% ოდენობით.

დადგენილების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს:

**მომხრე 20 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა (ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. თურნავა).**

**მიღებულ იქნა დადგენილება N31 (2.11. 2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტი** სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის ზრდას 500 (ხუთასი) ლარამდე. საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დადგენილების პროექტში მითითებული ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათავალისწინებული გადასახადით დარიცხულ ოდენობასთან ერთად.

დადგენილების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს:

**მომხრე 19 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 4-მა (ოთხი) დეპუტატმა (მ. კვიციანი, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. თურნავა).**

**მიღებულ იქნა დადგენილება N32 (2.11.2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე**, „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების თანახმად, სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თანაშემწე. დებულების ამ იმპერატიულმა დათქმამ პრაქტიკაში რამდენჯერმე წარმოშვა ვაკუუმი. კერძოდ, იყო შემთხვევები, როცა სამსახურის უფროსის არყოფნისას მისი მოვალეობის შესრულება არ შეეძლო არც თანაშემწეს. ამდენად, მიზანშეწონილია სამსახურის დებულებაში შევიდეს ცვლილება და სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა გამგებლის დავალებით შეასრულოს სამსახურის ერთ – ერთმა საჯარო მოხელემ. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნორმატიული აქტის მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული საქმისწარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე სხვა დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 19 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 4-მა (ოთხი) დეპუტატმა (მ. კვიციანი, ლ. ჩხაიძე, დ. წულაძე, მ. თურნავა).**

## მიღებულ იქნა განკარგულება N95 (2.11.2012 წელი).

### სხვადასხვა.

1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ გააკეთა ინფორმაცია, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, სუფსის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუგზარ ხავთასმა განცხადებით მიმართა საკრებულოს უმრავლესობის ფრაქციის დატოვებისა და ფრაქცია „ლანჩხუთელებში“ გაწევრიანების თაობაზე, რაც დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

2. ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარემ, მარინე თურნავამ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად ქალაქ ლანჩხუთში, ორაგვისღელის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მერაბ ჩიჩუას მიერ გადაეცა მავთულები საყანე ფართობების შემოსაღობად. რამდენიმე დღის წინ მოხდა მათი უკან წაღება. მოსახლეობა დაინტერესებულია აღნიშნული ფაქტით და ითხოვს შესაბამის ახსნა – განმარტებას. ასევე მას აინტერესებს რა ბედია ეწია მოქალაქე დავით ჩხაიძის მიერ შემოტანილ განცხადებას გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე განხილვის შესახებ.

დეპუტატ მარინე თურნავას მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტიძემ განმარტა, რომ შესწავლილ იქნება მავთულბადის საკითხი და განმცხადებელს ეცნობება წერილობითი პასუხი, ხოლო რაც შეეხება დავით ჩხაიძის განცხადებას, თურნავას განემარტა, რომ გამგებელი არის საჯარო მოსამსახურე, შესაბამისად გამგებლის დანიშვნა ხორციელდება კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საქართველოს ორგანული კანონის“ თანახმად. გამგებლის კანდიდატურას არჩევს შესაბამისი საკონკურსო კომისია კონკურსის გამოცხადების საფუძველზე. კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატურა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარედგინება საკრებულოს შესათანხმებლად. პირდაპირი წესით, კონკურსის გარეშე საკრებულოს შეიძლება წარედგინოს კანდიდატურა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დასანიშნად შეზღუდული ვადით. გამგებლის მოვალეობას, კი, ამ ჟამად უკვე ასრულებს კახაბერ ასკურავა.

3. ჩიბათის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ მოითხოვა სპეციალური კომისიის შექმნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრესის საშუალებით გაჟღერდა ინფორმაცია,

თითქოს საკრებულოს წევრები, ვიყავით რა ჩართულები სოფლის პროგრამების განხორციელებაში, ვითხოვდით 10% წილებს, რაც მისთვის ძალზედ შეურაცხყოფელია.

ფრაქცია „ლანჩხუთელების“ წევრმა, დეპუტატმა ლევან ჩხაიძემ გაიზიარა პრესაში დეპუტატთა გარკვეული ნაწილის მიმართ გავრცელებული ბრალდება მათ მიერ 10% წილების მოთხოვნის თაობაზე.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა მხარი დაუჭირა დეპუტატ გიორგი ჩახვადის ინიციატივას შესაბამისი კომისიის შექმნის თაობაზე და დეპუტატ ლევან ჩხაიძისაგან მოითხოვა წაყენებული ბრალდებების დამტკიცება, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე შესაბამისი პასუხიმგებლობის დაკისრება.

დეპუტატების უმრავლესობამ გამოხატა გულისწყრომა და პროტესტი ამ შეურაცხყოფელი ცილისწამების გამო.

კონკრეტული გადაწყვეტილება კომისიის შექმნის თაობაზე სხდომაზე არ იქნა მიღებული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

  
  
რევაზ ჩიტიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:



ნინო ძიძიგური

თანაშემწე:



დონარა დოლიძე

საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების  
განყოფილების უფროსის მოვალეობის  
შემსრულებელი:



მაია კვეკელიძე